საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1115

20/11/2019

ქ. თბილისი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. გულიანში ფ/პ ნათია კუპრაძის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ნათია კუპრაძის მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. გულიანში ფ/პ ნათია კუპრაძის მოცვის პლანტაციისთვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ მოცვის პლანტაციის გაშენება იგეგმება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. გულიანში, ფ/პ ნათია კუპრაძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთის ფართობი შეადგენს 11284 $მ^3$ (საკადასტრო კოდი 27.13.48.354), ხოლო მოცვის პლანტაციის გაშენება გათვალისწინებულია 5000$მ^2$ ფართობზე. ზემოაღნიშნული კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 200 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ფ/პ ნათია კუპრაძეს მოცვის პლანტაციის წყალმომარაგების მიზნით, დაგეგმილი აქვს წყლის აღება მდ. შუთიდან. წყლის აღების GPS კოორდინატებია: X-742608.07; Y-4656591.83.

სარწყავი სისტემის სიგრძე იქნება 20 მეტრი, რომელიც გაივლის ნათია კუპრაძის კუთვნილ ტერიტორიაზე. პოლიეთილენის მილების დიამეტრი შეადგენს 2 სმ. მდინარე შუთიდან აღებული წყალი პოლიეთილენის მილით მიეწოდება 3$მ^3$ ტევადობის წყლის რეზერვუარს, საიდანაც მოხდება მცენარეების მორწყვა. მოცვის პლანტაციის მოსარწყავად ერთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 500$მ^3$ წყლის გამოყენება. ვინაიდან წყალი გამოიყენება მოსარწყავად, მდინარეში წყალჩაშვებას ადგილი არ ექნება.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში დაგეგმილია 1 ცალი 0.55 კილოვატი სიმძლავრის ტუმბოს მონტაჟი, რომელიც იმუშავებს ელექტროენერგიაზე და წელიწადში მოიხმარს დაახლოებით 150 კილოვატ ელექტროენერგიას.

ვინაიდან პროექტის ფარგლებში სარწყავი მილის მიწაში ჩადება და თხრილის გაჭრა არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში სპეცტექნიკის გამოყენება (რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება საწვავით და საპოხი მასალებით) არ მოხდება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სარწყავი სისტემის როგორც მოწყობის, აგრეთვე ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის ეტაპზე, შესაძლო ხმაურის წყაროს წარმოადგენს წყლის ტუმბო, რომლის სიმძლავრის გათვალისწინებით, მისი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად ზემოქმედება ამ კუთხით არ არის მოსალოდნელი.

სარწყავი სისტემის მოწყობის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ფიქსირდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. გულიანში ფ/პ ნათია კუპრაძის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ ნათია კუპრაძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ ნათია კუპრაძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ნათია კუპრაძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი